ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

68

№ 1
იანვარი
1981

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 1 (481) იანვარი 1981 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. მეძმარიაშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ტ. გოგოლაძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

### განყოფილება მეორე

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. სუროვცევისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

9. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახალხო განათლების მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ე. რენარდკიოსათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. მ. თარგამაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. კეკელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. კიკნაველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. ბაკურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ღ. პ. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. ბრეგვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ა. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. ლაკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ჩოდრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ნ. ხმალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშით" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მახარაძის რაიონული სტამბის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
27. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. რ. თოფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 1 ამხ. ნ. ა. მეძმარიაშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ნოდარ აკაკის ძე მეძმარიაშვილი საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 9 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 2 ამხ. ვ. ტ. გოგოლაძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ ტროფიმეს ძე **გოგოლაძე** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 9 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 3 ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 6 აპრილის ბრძანებულებით დამტკიცებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების დებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 4, მუხ. 47) შემდეგი ცვლილებები:

1. პირველ მუხლში სიტყვები „სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების“.

3. მეორე მუხლში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების საბჭოს“ „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების“ და „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა საბჭოს“, „სახალხო დეპუტატთა საბჭოების“ და „სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოების“.

3. მე-4 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები“ შეიცვალოს სიტყვებით „პროფკავშირული, კომკავშირული, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები“.

4. მე-3 მუხლის პირველ ნაწილში, მე-5 მუხლის მეოთხე ნაწილში, მე-8 მუხლის „ი“ პუნქტში, მე-9 მუხლის პირველ ნაწილში, მე-10 მუხლის პირველ ნაწილში, მე-11, მე-16 და მე-17 მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა“.

5. მე-3 მუხლის მეორე ნაწილში, მე-7 მუხლის „ბ“, „გ“ და „ვ“ პუნქტებში, მე-9 მუხლის მეორე ნაწილსა და მე-14 მუხლში სიტყვები „მშრომელთა კოლექტივებს“, „მშრომელთა კოლექტივების“ და „მშრომელთა კოლექტივებმა“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „შრომით კოლექტივებს“, „შრომითი კოლექტივების“ და „შრომითმა კოლექტივებმა“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 13 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 4 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**მუხლი 234.** სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა

სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა, აგრეთვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ რომელიც წინათ გასამართლებული იყო ამ მუხლის პირველი ნაწილით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 20 იანვარი.

განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**5** **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ**

ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ სპეციალობათა კადრების მოსამზადებლად ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი"

**სამადბეგოვს** ალექსანდრე ყარამანის ძეს — ტექნიკუმის მასწავლებელს.
**შვარცმანს** ბენსიონ საიმის ძეს — ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი"

**მიქაძეს** მერი ბარნაბის ასულს — ტექნიკუმის ბიბლიოთეკის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 13 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 6 „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტერი"**:

**აბაზაძეს** მართა ვასილის ასულს — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ცენტრალური ბუხჰალტერიის მთავარ ბუხჰალტერს.

**იმნაძეს** სუსანა ევტიხის ასულს—თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 7 „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი"**:

**ბალამწარაშვილს** ნაზიმე ივანეს ასულს — ი. გოგებაშვილის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოთეკარს.

**უგრეხელიძეს** ელენე პოლიაქტორის ასულს — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგეს.

**ქობულაშვილს** ესმა გიორგის ასულს — თბილისის 89-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 8 ამხ. ი. ი. სუროვცევისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის განმტკიცების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების ორმოც-

დაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდი-ვანს ამხ. იური ივანეს ძე **სუროვცევს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 19 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 9 სახალხო განათლების მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“;**

**აბესაძეს** რიმა ელეფთერის ასულს — თბილისის მე-11 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

**ბერიანიძეს** კლავდია ივანეს ასულს — თბილისის 64-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით ნაწილში.

**ბერიშვილს** ოთარ ვასილის ძეს — თბილისის 150-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ბოლქვაძეს** ალექსანდრე მამედის ძეს — ხულოს საშუალო სკოლის დირექტორს.

**ბუჟღულაშვილს** ნინო ვლადიმერის ასულს — გორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგეს.

**გაბედავას** ნიკოლოზ მელქისედეკის ძეს — რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლის მასწავლებელს.

**გაზაევს** თევდორე სულიკოს ძეს — ცხინვალის რაიონის ქურთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**გამაზოვს** ანდრია კონსტანტინეს ძეს — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**გასპარაშვილს** ვიოლეტა ილიას ასულს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორს.

**გაჩეჩილაძეს** ოთარ პლატონის ძეს — თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**გვახარიას** ვალენტინა აკაკის ასულს — თბილისის 41-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**გოგიტიძეს** ნელი მოსეს ასულს — თბილისის 50-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული

**გოგობერიშვილს** ნინო გიორგის ასულს — თბილისის 62-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით ნაწილში.

**გოდერძიშვილს** მერი ილიას ასულს — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**გოლიაძეს** ვენერა იასეს ასულს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკური ბაგა-ბაღის გამგეს.

**გოლოძეს** ლევან აკაკის ძეს—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური მეთოდცენტრის მეთოდისტს.

**გოშხეთელიანს** სერგი ივანეს ძეს—ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**დოლიძეს** აკაკი ლავრენტის ძეს — გურჯაანის რაიონის მახარაძის საშუალო სკოლის დირექტორს.

**ესაძეს** თინა გიორგის ასულს—თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-4 სკოლის დირექტორს.

**ზაალიშვილს** გიორგი გიორგის ძეს — გარდაბნის რაიონის კუმისის საშუალო სკოლის დირექტორს.

**თაბაგარს** გენადი პართენის ძეს — თბილისის რკინიგზის მე-2 სკოლის დირექტორს.

**თოდუას** დიანა ლეონტის ასულს — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტის დირექტორს.

**იაშვილს** დავით ვუკოლის ძეს — თბილისის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით ნაწილში.

**იობიძეს** იონა ბესარიონის ძეს — წულუკიძის რაიონის ჯიხაიშის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**კავაძეს** თინა გრიგოლის ასულს — თბილისის მე-13 საბავშვო ბაღის გამგეს.

**კალანდაძეს** ოლღა ფილიპეს ასულს — თბილისის მე-100 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**კვანტალიანს** ნინო ლავრენტის ასულს — თბილისის 119-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

**კოსტანაშვილს** ელენე პავლეს ასულს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური კაბინეტის მეთოდისტს.

**კრასინსკაიას** ნინო ეფიმის ასულს — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**კურატაშვილს** ნაზი წყალობას ასულს — თბილისის 87-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ლაკერბაიას** ასტამურ პესოს ძეს — გაგრის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს.

**ლაშხაურს** ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს — მცხეთის საშუალო სკოლის დირექტორს.

**ლითანიშვილს** ვასილ ნიკოლოზის ძეს — თბილისის 72-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლოხოვს** შოთა იოსების ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს.

**მაისურაძეს** თამარ სარქისის ასულს — ადიგენის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგეს.

**მაისურაძეს** როზალია ივანეს ასულს — ლენინგორის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**მალიშავას** მამანტი ელიზბარის ძეს — სოხუმის სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების გამგეს.

**მაჩაიძეს** ელენე ილიას ასულს — თბილისის მე-4 საბავშვო ბაღის გამგეს.

**მეხრაძეს** ლეილა ვლადიმერის ასულს — თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ნიკოლაიშვილს** თამილა ვასილის ასულს — თბილისის 43-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

**ოყრეშიძეს** მედეა დომენტის ასულს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდური ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის სექტორის გამგეს.

**ონიანს** გრიგოლ იასონის ძეს — ლენტეხის რაიონის სასაშის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ონიანს** სარა მიტროფანეს ასულს — ლენტეხის საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

**პროხოროვას** ვერა თევდორეს ასულს — თბილისის 64-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ჟორჟოლიანს** აკაკი ილარიონის ძეს—ქუთაისის სამუსიკო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელ-აღმზრდელს.

**საბაშვილს** გიორგი ანდრიას ძეს — საქართველოს სსრ ბათუმის მეზღვაურთა და მეთევზეთა რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორს.

**სტეფნაძეს** აკაკი ლევანის ძეს — ბორჯომის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს.

**სულავას** გივი გრიგოლის ძეს — კოჯრის სკოლა-ინტერნატის დირექტორს.

**სულეიმანოვს** სულეიმან მამედის ძეს — მარნეულის რაიონის ალგეთის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს.

**ტუშიანს** ნადეჟდა პავლეს ასულს — თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ურუშაძეს** ოლიმპიადა მიხეილის ასულს — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკასთან არსებული 29-ე საბავშვო ბაღის გამგეს.

**ფარულავას** შალვა ჯოღოს ძეს — გალის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორს.

**ქაჯაიას** ალექსანდრე დაუთის ძეს — ხელვაჩაურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

**ქარდავას** ვიქტორ თევდორეს ძეს — ოჩამჩირის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქარქაშაძეს** იაშა კონსტანტინეს ძეს — ტყიბულის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს.

**ქართველიშვილს** იოსებ სერგის ძეს — წითელწყაროს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ქვარცხავას** ოლღა იაკობის ასულს — ცხაკაიას მე-3 საბავშვო ბაღის გამგეს.

**ქრისტესიაშვილს** ანასტასია ივანეს ასულს — ცხინვალის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს.

**ქსენოდოხოვას** ზინაიდა პავლეს ასულს—დმანისის რაიონის მაშავერის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

**ღელეყვას** ნათელა ეპიფანეს ასულს — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდკაბინეტის გამგეს.

**ღლონტს** ნიკოლოზ დავითის ძეს — მახარაძის რაიონის მაკვანეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ღონღაძეს** გიორგი სიმონის ძეს — თბილისის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორს.

**შაკრილ-ჩერნენკოს** თამარ დავითის ასულს — სოხუმის თამბაქოს ქარხნის მე-6 საბავშვო ბაღის გამგეს.

**შანიძეს** გულნარა ოთარის ასულს — ბათუმის 28-ე საბავშვო ბაღის გამგეს.

**შაფაქიძეს** გიორგი ნიკიფორეს ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორს.

**შარვაშიძეს** თინა ნიკოლოზის ასულს — მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**შალემეტიევს** ორესტ ალექსანდრეს ძეს — ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტს.

**შეწირულს** ლიანა ილარიონის ასულს — თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს.

**ჩაგელიშვილს** ვიქტორ იასონის ძეს — მცხეთის რაიონის ლისის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

**ჩარკვიანს** ევა ბაგრატის ასულს — ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ჩაჩუას** ეკატერინე გერონტის ასულს — ქობულეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორს.

**ჩილაგავას** ზინა ვარლამის ასულს — ზუგდიდის რაიონის ჭითაწყარის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ციცქიშვილს** ერმალოზ აბოს ძეს — თბილისის 139-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

**ჭანტურიას** ნოე იასონის ძეს — ცხაკაიას რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორს.

**ჭანტურიას** ლუდვიგ ბეგოს ძეს — წალენჯიხის რაიონის ჯვარის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხაბალაშვილს** გაიოზ სტეფანეს ძეს — კ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალური სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს.

**ხალვაშს** ქეთევან დურსუნის ასულს — ბათუმის მე-13 საშუალო სკოლის დირექტორს.

**ხუნდაძეს** მილიცა ალექსანდრეს ასულს — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ჯაგაცმანიანს** სარქის სენეკერიმის ძეს — ბოგდანოვკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორს.

**ჯახუას** ნინო ლუკიანეს ასულს—ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

**ჯილაურს** ნათელა ირაკლის ასულს — თბილისის მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 10 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პირველი ნომრის გამოსვლის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი"**

**ანასტასიადის** ვადიმ გიორგის ძეს—გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორს.

**ბასტატსკაიას** ინა ლევის ასულს — გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგეს.

**წულაძეს** დალილა თეოფანეს ასულს — გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორის მოადგილეს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"**

**გელაშვილს** გულნარა პეტრეს ასულს — გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პროპაგანდის განყოფილების გამგეს.

**გურგენიძეს** ლიუბოვ ვლადიმერის ასულს — გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" კორექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სუდაკოვას** იანა იაკობის ასულს — გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ წერილების და ინფორმაციის განყოფილების გამგეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 20 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 11 ამხ. ი. ე. რენარდ-კიოსათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოში საბჭოთა საცირკო ხელოვნების პროპაგანდის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა და 1980-1981 წლებში თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის ამხ. იგორ ემილის ძე **რენარდ-კიოს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 28 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 12 ამხ. კ. მ. თარგამაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად და სოფლის მეურნეობის მეცნიერების განსავითარებლად გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. კონსტანტინე მიხეილის ძე **თარგამაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 7 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 13 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ სპეციალობათა კადრების მოსამზადებლად ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 13 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 14 ამხ. გ. გ. კეკელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ სპეციალობათა კადრების მოსამზადებლად გაწეულ მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის, ტექნიკუმის დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის დირექტორი ამხ. გივი გიორგის ძე **კეკელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 14 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 15 ამხ. ა. ი. კიკნაველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ანდრია ივანეს ძე კიკნაველიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 13 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 16 ამხ. ა. ნ. ბაკურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბაკურაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 19 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 17 ამხ. დ. პ. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ამხ. დიმიტრი პეტრეს ძე ბოკერია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 18 ამხ. გ. პ. ბრეგვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე ამხ. გიორგი პავლეს ძე ბრეგვაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 19 ამხ. ვ. ა. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვახტანგ აქსენტის ძე კვარაცხელია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 20 ამხ. ნ. ა. ლაკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნინო ამბროსის ასული ლაკია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 19 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 21 ამხ. ი. ი. ჩოდრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით თბილისის დენდროლოგიური პარკის დირექტორი ამხ. იოსებ ივანეს ძე **ჩოდრიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 19 იანვარი.

### 22 ამხ. ვ. ნ. ხმალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. ვასილ ნიკოლოზის ძე **ხმალაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 19 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 23 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პირველი ნომრის გამოსვლის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**სოლოვიოვა** კლარა ბორისის ასული — გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ მემანქანე.

**ჩერნიშევი** ვასილ მიხეილის ძე — გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციის მხატვარი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 24 მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშა" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რაიონის მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **მახარაძის რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა"** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 30 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 25 მახარაძის რაიონული სტამბის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაარსების 90-ე წლისთავთან დაკავშირებით **მახარაძის რაიონული სტამბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 30 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 26 ამხ. ა. ს. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის" პირველი ნომრის გამოსვლის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გაზეთის რედაქტორი ამხ. **აფთონ სოლომონის ძე გურგენიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 30 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 27 ამხ. თ. რ. თოფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. თეიმურაზ რუბენის ძე თოფურია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 30 იანვარი.

განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1981 წლის 26 იანვარს მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მიერ დეპუტატის საქმიანობის შესახებ პრეზიდიუმში წარმოდგენილ ინფორმაციებში დაყენებული საკითხების თაობაზე.

აღინიშნა, რომ დეპუტატთა უმრავლესობას, რომელიც ასრულებს თავის კონსტიტუციურ მოვალეობებს, მჭიდრო კავშირი აქვს ამომრჩევლებთან, აგრეთვე მათი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან, ამომრჩევლებს დროულად აბარებს ანგარიშებს და პრეზიდიუმს პერიოდულად უგზავნის ინფორმაციას თავისი მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ამომრჩევლებთან შეხვედრების შესახებ პრეზიდიუმში წარმოდგენილ ინფორმაციებში აყენებენ ამომრჩეველთა მიერ აღძრულ მთელ რიგ საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ინფორმაციებში დაყენებული საკითხები განსახილველად გადაეგზავნოთ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს და დაევალოთ მათ განხილვის შედეგების შესახებ აცნობონ დეპუტატებსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

*
* *

1981 წლის 30 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ მშრომელთა მიერ 1981 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდიუმმა დაადგინა:

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ძირითად მიმართულებად მიჩნეულ იქნეს დეპუტატთა შემოქმედებითი ინიციატივისა და საზოგადოებრივი აქტიურობის შემდგომი განვითარება, ყოველ შრომით კოლექტივში მათი ავანგარდული როლის ამაღლება საგეგმო დავალებათა და აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვის საქმეში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა საქართველოს სსრ მშრომელთა მიერ 1981 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად;

— შეიმუშაონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, მათს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის სრულყოფისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმსამტკიცებლად, წარმოების ეფექტიანობისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის;

— სისტემატურად შეისწავლონ და გააანალიზონ საგეგმო დავალებათა და აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, უფრო სრულად გამოიყენონ სოციალისტური შეჯიბრების შესაძლებლობანი; ფართოდ გაავრცელონ და განაზოგადონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე და ხარისხიანად შესრულებისათვის გაწეული მუშაობის მოწინავე გამოცდილება; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, შრომითი და მატერიალური რესურსების მომჭირნედ და ეფექტიანად გამოყენებას;

— უფრო აქტიურად იზრუნონ იმისათვის, რომ თითოეული დეპუტატი „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად აქტიურად მონაწილეობდეს რეზერვების გამოვლენასა და სრულად გამოყენებაში, იღვწოდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის. პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის;

— გააქტიურონ სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის;

— გააუმჯობესონ მუდმივი კომისიებისა და დეპუტატთა ჯგუფების მუშაობა, რეგულარულად განიხილონ მათ სხდომებზე სოციალისტურ ვალდებულება-

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

თა შესრულების მიმდინარეობა, უფრო მეტად მიიზიდონ დეპუტატები და აქტივი საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაზე კონტროლის განსახორციელებლად;

— უფრო ფართოდ გამოიყენონ მინიჭებული უფლება — კონტროლი გაუწიონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, დარაზმონ საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები ყველა სახის პროდუქციის ხარისხის მკვეთრად ამაღლებისათვის ბრძოლის შემდგომ გასაძლიერებლად; აქტიურად შეუწყონ ხელი საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მორალური და მატერიალური სტიმულირების უახლესი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 30 იანვრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 25 დედა:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონიდან | | — 1 |
| აბაშის | რაიონიდან . . . . . | — 5 |
| ზესტაფონის | „ . . . . . . . . | — 1 |
| მახარაძის | „ . . . . . . . . | — 2 |
| მესტიის | „ . . . . . . . . | — 3 |
| საგარეჯოს | „ . . . . . . . . | — 2 |
| ყაზბეგის | „ . . . . . . . . | — 3 |
| ჩოხატაურის | „ . . . . . . . . | — 1 |
| ცხაკაიას | „ . . . . . . . . | — 4 |
| ხაშურის | „ . . . . . . . . | — 3 |